

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 25.

კვირა, ნოემბერი 9, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლიათ — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეცკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: ქუთაისი 9 ნოემბერი (მოწინავე); სამღვდლოების სალაყო—კინკოლეტელისა; ახლო-მახლო—კირილე წუთისოფელისა; მოსეს თქმულება ადამისა და ევას შეცოდებაზე ნამდვილი ისტორიაა, თუ ალღევორია და მითი?—ტონკმელისა; უმთავრესი ხელოვნური მიწის სასუქები და მათი მოხმარება მეურნეობაში—ნ. გურნალისა; შეუძლებლობა სოციალიზმისა, კარი პირველი—ნაცარყანელისა;

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ქურნალის წლიური ფასი.

ყოველკვირულ გაზეთ

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

კუთაისი 9 ნოემბერი.

დღეს, 9 ნოემბერს, შესრულდა წლის თავი ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსის ალექსანდრეს გარდაცვალებისა. განსვენებული თითოთ საჩვენებელი იყო თავის კეთილ-მოღვაწეობით და ქრისტეს ეკკლესიის ერთგული სამსახურით. იგი ჭეშმარიტად არა ეძიებდა თავისასა, არამედ ღვთისასა და თუ რამეს იმოწინიდა და იმოწინიდა საღვთო და საქველმოქმედო საქმეებში ხარჯავდა; თავის სიცოცხლეში უმე-

ტეს 70 ათასი მანეთისა შეუწირავს სსვა და სსვა კეთილ საქმეთა დაწესებულებათათვის. სამშობლო ქვეყნის სულიერი და ნივთიერი კეთილ-დღეობა, აი რა შეადგენდა მის ქვეყნიურ მისწრაფების მიზანს. კვი ხანია ასეთი მიძინათულების ჰირონი იშვიანთად ებადება ბედგარულ საქართველოს. უმეტეს ნაწილად ამ დროინდელი ქართველები ან თავისუფ ტყავში იკუცებიან, როგორც ზღარბი თავის ეკლიან ქურქში, ან მთელ კაცობრიობაში ითქვიფებიან და ჰკარგავენ (ცდილობენ მაინც, რომ დაჰკარგონ) თავის ნაციონალურ ელფერს. უკანასკნელ მისწრაფების ადამიანები ამ მოკლე დროში მაინც ძალიან გაძრავდნენ. ამით დაჰკარგეს თავის თავის მოვლის უნარი და ქვეყნის მამიდობა დაიწვეს. დღეს, ამ ქვეყნის მამიდობა შორის, განსვენებული ალექსანდრესებური ადამიანები სწორედ რომ შობის ვარსკვლავია და



მით უფრო სამწუსარო და სავალბლოა მათი დაკარგვა! როდის იქნება, რომ კიდევ გამოჩნდებიან ჩვენში ეს იშვიათი შობის ვარსკვლავები: გაბრიელები, ალექსანდრეები, ილიები. თუ სწეობრივ გადაგვარების კანონი აუცილებელია, სწორედ დღეს ადვილად საქართველო ამ გზას და არც არის იმედი შემობრუნებისა. საქართველოს ჰორიზონტზე დღეს ერთ მძეუტავე საიმედო ვარსკვლავსაც ვერ ვხედავთ.

დაგველიენ ძველი საქმით მოღვაწენი და დაგვრჩენ ხელში მხოლოდ მუვირალა ქვეყნის მამიდები და ზღარბები, რომლებიც თავის ეკლიან ნაბადში გახვეულან და არც კი უნდათ გარეთ გამოიხედონ, ქვეყნიერებას შეხედონ; არ უნდათ არა თუ თითონ რაღე განაკეთონ ქვეყნისათვის, არამედ სხვის ნაღვაწ-ნაკეთებობაც რომ ისარგებლონ თავიანთ ეკლიან ნაბად ქვეშ მანც თავისსავე სასარგებლოდ. და უფრო სამწუსარო აქ ის არის, რომ ეს ზღარბები და ქვეყნის მამიდები ქვეყნისათვისვე მოღვაწეობას ჩემულობენ და, რომ ამხელთ სიცრუეში, გული მოსდით და წიხლებს ისვრიან, როგორ მკადრე, როგორ შეძვედო!

ის კი არა, მადლიან მამების გადამონაცემ საჩუქრებობაც ვერ ვსარგებლობთ, იმდენად დაუკანინდით და სწეობრივად დავეცით და გავთასსინდით. ეოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მაგ. ალადგინა ერთი უმთავრესი ძველ საქართველოს სარწმუნოების ღამმართავანი— შიო მღვიმის მონასტერი, რომელიც თავის საშვალე-

ბით და მიწაწელით (რა თქმა უნდა საკუთარ გარჯილობასთან ერთად) არჩენს რამოდენიმე ათ მღვდელ-მონასტონს. მაგრამ ვინ სარგებლობს ამ მოწველებით; ვინ მიდის იქ სამოღვაწეოდ, რომ თავის ქრისტიანული წმიდა ცხოვრებით მანათობლად გაუხდეს ბნელით მოსილ ურწმუნოების ჯურღმულში ჩაფლულ სამშობლოს. მანვე გამოსცა ზოგაერთი ძველი ხელთნაწერები, ჩვენნი ძველი სასულიერო ლიტურატურის ნიმუშები, მაგრამ ვინ სარგებლობს მითი?

ეოვლად სამღვდელო გაბრიელმა დაკვიტოვა საუცხოვო თხზულებები, რომლითაც ამჟარტავენების არ შერცხვებოდა არც ერთ განათლებულ ერს, დაკვიტოვა აგრეთვე მათი გამოსაცემი ფულიც. მაგრამ ვინ სარგებლობს დღეს ამით? ფულები ხაზინაში მკვს და სულმნათის წიგნებს იშვიათად შეხვდებით ეკკლესიებში დაც კი, სადაც იგინი შეადგინდენ აუცილებელ საჭიროებას.

ასე უდიერათ მოპერობა თავის მოღვაწეებისა მარტო ქართველებს შეუძლიათ!...



სამღვდელოების სალაყო.

როგორც მოგეხსენებათ ყველა წოდებას აქვს თავის სალაყო. სოფლებში გლეხებს არჩეული აქვთ ადგილი— კანცელარია ან ლუქანი, სადაც იკრიბებიან და მასლაათობენ; ქალაქებში კლუბებია, სადაც მასლაათს თან სდევს კარტი, ღვინო და სხვა ბევრი ვნებათა აღმძვრელი გასართობი; ვაჭრებსაც აქვთ თავის განსაკუთრებული სამსლაათო გასართობები და, რა თქმა

უნდა, სამღვდლოებაც ვერ ჩამორჩებოდა თავის სამწყსოს. მასაც უნდა გაეჩინა სამსლათო ადგილი. ფულის გამოღებაში სამღვდლოება ყოველთვის მათარი იყო და არის ჩვეულებისამებრ; ამიტომ ისეთ სამსლათოს გაჩენა, რომელიც ფულის ხარჯს მოითხოვს ძნელი შესადგენია მათგან. საჭირო იყო სადმე მუქთა თავშესაფარი ემოვნათ და, მოგეცათ ღვთის წყალობა, კიდევ იმოვნეს სანთლის ღუქანი.

ღუქანი რომ ღუქანია და ვაქრობისთვის არის დანიშნული და არა მასლათისთვის, ამას არ დაგიდევნებ ბატონი მამები; იგინი თავისუფლად შედიან იქ, ბაასობენ, მასლათობენ ხანდისხან ისეთ საგნებზე, რომლებიც სრულებით არ ეკადრება არც ადგილს და არც მობაასეთ. თუ რამე ერთმანეთში ან სხვებთან ინტერესი აქვთ, (რაც სრული შეუფერებელია მოძღვრებისათვის), ყველაფერს აქ წარმოანთხევენ ხოლმე წინაშე მოვაქრეთა და გამვლელ-გამომვლელთა. და თუ ამ უკანასკნელებზე ასეთი აღვირ-წახსნილი მუსაიფი ცუდ გავლენას იქონიებს, ეს ფიქრადაც არ მოსდით მამებს. და ისედაც სახელგატეხილები უფრო იტეხენ სახელს, ისედაც დამცირებულები უფრო იმცირებენ თავს. პატიოსან ადგილს პატიოსნად უნდა დაცვა და იქ, სადაც უბრალონი ქუდმოხდილი მორიდებით, შედიან, მოძღვრებს უფლება არა აქვთ უბატურად მოიქცნენ. ჩვენ ბევრჯერ გავვიგონია: „თუ სამღვდლოება გინდა გაიცნო, ერთი ღვე შესწირე და სანთლის ღუქანში დაჯექიო“ და ასეთი აზრი საზოგადოებისა გულს გვიკლავს ყველას, ვისაც ცოტა რწმენა კიდევ შეგვრჩენია ეკლესიაზე და სამღვდლოებაზე. ნუთუ მოძღვრების წინააღმდეგაც საჭირო შეიქნება სასტიკი ზომების მიღება?.....

კინკილეთელი.



ა ხ ლ ო - მ ა ხ ლ ო.

I.

„როცა ზღვა ღელავს, ნავ-ჭურჭლებიც მათ უნებურად ექანებიანო“, — გამოსთქვა ჩვე-

ნმა სასიქადულო მგოსანმა-აკაკიმ. ეს ქეშმარიტება სწორეთ ზედგამჭერილი საამღლეო თქმულებაა. აღელვდა ცხოვრების ზღვა, გადაბრუნდა ტენი და გონება, გამოიცვალა ხალხმა აზრი ამა თუ იმ საგანზე: ის, რასაც გუშინ შეეხაროდით და ვესასოებოდით, ღდეს საზიზღარი შეიქმნა და რაც საზიზღრად გგჩვენებოდა, ის საქებ სასიქადულოდ წარმოგვიდგა... შეინძრა ცხოვრების ზღვაზე მოტივტივე სამღვდლოებაც. იმნაც გამოიცვალა აზრი და შეხედულობა: ზოგი გაიმსქვალა მეტის-მეტ საზოგადო ინტერესებით და ზოგმა მარტო საკუთარი აზრის მხილვას მიაქცია ყურადღება... ზოგმა მოისურვა მოციქულთა საუკუნის გამობრუნება და ზოგი არც ამას დასჯერდა—ადიგსო გაუმადლობის წყურვილით, მას წამოუდგა ქაჯური აზრი ღროით სარგებლობისა და შორს გადასტყორცნა სამღვდლო „ღრამბა“... მაგრამ ეს სრულიადაც საკვირველი არ არის და არც არავინ უნდი შეცდეს ამით. ან ვის უნდა გაუკვირდეს, რომ გაქანებულმა ზღვის ტალღებმა გვერდები ჩაუღეწოს სუსტად აღშენებულ ნავ-ჭურჭლებს?.

საკითხავი უფრო ისაა, რომ ამ ქარტეხილმა და ტალღების ცემამ ჩვენ სამღვდლოების უმრავლესობას ძილი ვერ დაუფრხო; ამ ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არხენად სძინავს, არას მოქმედებს, არას ზრუნავს; ის მხოლოდ კრუსუნებს, სწყველის და ემღურის ღროების გამოცვლას და სრულიადაც არ ჰფიქრობს, რომ მარტო წყველა-კრუსუნით ის ვერ განშორდება თავის მარად განსასვენებელ უმოძრაობის ურდოს... „უმოძრაობაში დახვედნის, მოძრაობაში მკვდარი სჯობიაო“, — ნათქვამია, თუმცა ეს გამოთქმა ჯერ კიდევ შორიდან დროაჯობს იმ პირთ, რომელნიც მოვალენი არიან არა თუ მარტო საკუთარი არსებობისთვის იმოდრონ და იბრძოლონ, არამედ სხვებისთვისაც...

საზოგადო ცხოვრება, რომელიც ითხოვს სასულიერო უწყებისაგან ბეჯით დაკვირვებას, კარგად თუ ავად, ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფის წინ და მას შორი-ახლო შეჭურვებს უქნიდან ის, ვინც მოვალეა გაიქცეს და ხალხს წინ გაუძ-

დღეს. — არ არის საქირო დიდი დაკვირვება, რომ ყური მოვკრათ ხალხის გულისცემას; მას რაღაცა უნდა, ის საღაც მიიჩქარის და არც ავი უნდა თავისთვის. — აბა ვის ნდომებია ავი? — მაგრამ ხშირად უხვევს ქეშმარიტ გზას, საღაც მას სახეირო არა დაეყრება-რა და სწორეთ აქ უნდა შევლოდეს მას მოძღვარი, სწორეთ აქ უნდა ისმოდეს მისი ამბობებული ხმა, სწორეთ აქ არის მოძღვრის მაჩვენებელი თითი საქირო მართალი და ქეშმარიტი გზის აღსანიშნავად, მაგრამ ეს ცხოვრებაში არ მართლდება და არც არავითარი საბუთი ვაკვს გავამტყუნოთ ხალხი, თუ მას წარმოადგენილი უავს ეს გზის მაჩვენებელი მის სახლში მოკაკანე და სხვის სახლში კვერცხის მდებელ დედლადა... ამ ყოფით და ასეთი სჯულის დამცველთა ხელში, სარწმუნოების გულშემატკივარს სხვა მეტი არა დარჩენია-რა, რომ მწარე ფიქრები წარმოუდგეს სჯულის აწმყო და, მით უმეტეს, მომავალ მდგომარეობაზე.

მეტის მეტ საშიშ ყოფაში იქნება ორთქლ-, მავლის არსებობა ზღვაზე, რომელიც ჰკარგავს ერთის შეხედულობით, თითქმის უმნიშვნელო ვანტს. წყალი წვეთ-წვეთობით შედიოდეს იქნება მასში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, (ორთქლ-მავალი) ივსება წყლითა და იძირება ზღვაში თავის უგნურ მოხელებ-მოსამსახურეებითურთ, რომელთაც თავის დროზე ვერ შენიშნეს ნაკლი. ესევე ითქმის სარწმუნოებაზედაც, რომელსაც არა ერთი და ორი ვინტი აკლია დღეს.

სასულიერო წოდება მკიდროდ არის დაკავშირებული სარწმუნოებასთან. არ შეიძლება პირველის მოქმედებამ უკანასკნელს თავის ბეჭედი არ დასვეს და უკანასკნელის შემცირებამ პირველი სამასხროდ, თითქმის საზიზღრადაც არ აქციოს და ბოლოს სულიც არ დააღვივნოს. ეს სულ უბრალო ამოცანაა... მართალია, არსად არ არის ისეთი დაწესებულება სახელმწიფო, საზოგადო და გინდ კერძოც, საღაც მანკიერებამ არ შეიჭვრიტოს და რომლის მოსამსახურეებზე შეიძლებოდეს ერთად საზოგადოთ აზრი გამოითქვას, ყველა კარგია, ან ყველა ავიო, მაგრამ მათი მოქმედება ასე

თუ ისე იმალება და თუ არ იმალება, მით როგორც დაწესებულებას, ისე მოსამსახურეებსაც დიდი არაფერი აკლდებათ მაშინ, როდესაც ერთი მღვდლის უმგვაო მოქმედება ხალხის თვალში სარწმუნოებას ამცირებს და მთელს წოდებას და ხარისხს ჩირქსა სცხებს... ყოველგან საქიროა შემცირდეს უსახო მოქმედება, მაგრამ ეს უფრო და უფრო საქიროა სასულიერო წოდებაში, რადგანაც მას მნიშვნელობაც სხვა გვარი აქვს. — სამსაჯულო, საპოლიციო და სხვა დაწესებულებებში მოსამსახურეებს დროის და გარემოების მიხედვით პირად იმ კაცთან აქვთ საქმე, ვისაც მათთვის მიუძღრათაეს, ან დანაშაული ჩაუდენია მაშინ, როდესაც სასულიერო წოდებაში მოსამსახურეს დროის და ადგილის მიუხედავად ყველასთან აქვს საქმე, როგორც უბრალო მომაკვდავთან, აგრეთვე მეფესთანაც. მისი მოღვაწეობა არ განისაზღვრება დანიშნულ დღეებით და საათებით, აგრეთვე არც განსაზღვრულ ადგილს აქვს მნიშვნელობა მის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ საქმეში. ერთი სიტყვით მისი პირდაპირა მოვალეობაა ცხოვრების მაგალითი იყოს და, რა თქმა უნდა, ასეთი პირი უნდა იყოს ყოველ გვარ ღირსებით შემკობილი, რომ მისმა მოქმედებამ, აზრმა და საქციელმა ექვი არ დაჰბადოს გარეშე მაყურებელის გულში, მით უმეტეს, როცა ამ სამსახურში არავის იწვევენ ძალა-უნებურად.

მაშასადამე რა უნდა ითქვას იმ მღვდელზე, რომელიც მის არსებაში ვერ ამჩნევს ცრის კაცისგან განსხვავებულს ღირებას, არ არის გამსჭვალული სარწმუნოებრივი იდეალით და უბრალო „ჩინოვნიკად“ მოაქვს თავი? რა გასაკვირველია ის, რასაც მთელი სასულიერო წოდების გულსაკლავად გაჰყვირიან დღეს, ასე განსიჯეთ, თვით უბრალო ბიჭ-ბუჭებიც-კი... ბევრ სასულიერო პირთაგანს გული მოსდის, რომ ურიგოდ იხსენიებენ მათ, მაგრამ სულ უადგილოა გულის მოსვლა. მათ არა აქვთ არავითარი ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება, რომ ვინმეს სიმართლის თქმა დაუშლონ. ვისაც არ უნდა შეეხონ, მას თავიდანვე უნდა ეშინოდეს და „შიშს თან მოსდევს უღარდებლობა.“ ნუ იძლევა სამღვდე-

ლოება საბუთს და უსაბუთოდ არავას შეუძლია შეეხოს მას... იშვიათია, რომ ადამიანს მტერი ჰყავდესო, — ამბობს ანდაზა — და თვითონვე არ იყოს ამის მიზეზიო“.

რაც შეეხება იმას, რომ სასულიერო წოდებას, შეუძლია ადამილოს ხალხში ნამდვილი სარწმუნოებრივი გრძობა და ჭეშმარიტი ზნეობრივი თვისებები, ამაში ეჭვიც არაინ უნდა შეიტანოს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მასაც მოვალეობაზე რაღაც თავისებური შეხედულება აქვს და იშვიათად თუ ვინმე ზრუნავს და ჰფიქრობს მოვალეობა ისე შეასრულოს, როგორც ამას თხოულობს კანონი სჯულისა, და სწორეთ აქ არის გადებული ბეწვის ხაღი... არიან, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი და ბეჯითი მღვდლები, რომელთაც მე, არა თუ ბეჭდვითი სატყუით, ისედაც არ შეეხებიათ არასოდეს ჩემის ცოდვილის ბაგათა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც დიდი გასწორება, დიდი ზედამხედველობა და ჩაგონება სჭირდებათ. ვწუხვარ ამის გამეღიანებით, მაგრამ რაღა? — რასაც ჩვენ დავმალავთ, იმას მტრები გაამეღიანებენ და უფრო მეტსაც იტყვიან.

ავიღოთ მაგ. ამ წოდების პირი, რომელიც ჯერ კიდევ „ყოფილ“ დროის ბურუსშია გახვეული და იმ დროის მცნებებით გამსჭვალული, ე. ი. ჩამორჩენილი მღვდელი, რომელსაც ძველ სამოსელს ტანზე აგლიჯენ მის და შეუქმნევლად გარეშე პირები და უფრო მტრები და რომელსაც არ ჰაურს იმდენი განვითარება მაინც შეიძინოს, რომ ზოგიერთ სოფლის უბრალო ერის კაცს გაუსწორდეს ცოდნით, გამოცდილებით, მის კერძო ცხოვრებას და ყოფაქცევას, რომ თავი დაგანებოთ. რა სულიერი საზრდო უნდა მისცეს ასეთმა დროის შეაფერად მოუშხადებელმა მოძღვარმა ერის კაცს, რომელიც წადგომია მას და ყოველ ნაბიჯზე იჭერს სულ უბრალო კითხვებში და მსჯელობაში? რა პასუხი უნდა გასცეს მან ერს, რომელსაც ერთი წიგნაკი არ წაუკითხავს თავის სიცოცხლეში და ეურნალ გახეთებს და მკოდნე პირებს ისე გაურბის, როგორც ეამსა და სენს? ვის რა დარაგება და აღზრდა უნდა მისცეს მან, რომელსაც არ ჰსურს დროებას

დააკვირდეს, შეიგნოს და შეისწავლოს მისი ამოცანები? — არავითარი და კიდევ აიბნა გზა და კვალი. იქ, სადაც უნდა უთხრას მოძღვარმა მრევლს: „შვილო ჩემო! მოდი აქაო,“ — ეუბნება: — გამშორდი აქედანო; — სადაც საჭიროა მიცემა, — ართმევს; მრავალს მეტყველობს, სადაც კმარა ერთი სიტყვა და კრინტისაც ველარ ძრავს იქ, სადაც საგანი ითხოვს ბეჯით ახსნას; ქედ-მადლობს მაშინ, როცა უნდა სულ სიმდაბლედ და სულ უბრალოდ და საწყლად გამოიხედება იქ, სადაც ეჭირვება თავ-გამოდება. ნუ თუ ეს ტყუილია, მაშაო?, ნუ გეწყინება მართალი; სამწყსოს უნდა მწყემსი, რომელმაც თითოეული ბილიკი უნდა იცოდეს მთაში და ბარში და იქით უნდა გაუძღვეს, საითაც კი სძოვრია.

II.

სოფლის სამღვდელეობა შესდგება ასე თუ ისე შინაურათ ნასწავლ მღვდლებსაგან (რამაშიდაც დასაწუნს ჩვენ არატფრს ვხედავთ) და არა თუ ასეთი ნასწავლები, თვით პროფესორის ბედზედაც, რომ ჩამოვარდეს მღვდელეობა იმ მივარდნილ-მიყრუებულ სოფლებში, სადაც ჩვენს სამღვდელეობას სამსახური უხდება, რამოდენიმე წლის შემდეგ, ვგონებ, ისიც კი გამოყრუყვებულა იმ პირობებში, რა პირობებშია ცხადეს სამღვდელეობა სდგას. დიან. მაგრამ ეს პირობები ბუნებით მოვლენილნი, ან უსაშველონი როდი არიან, მათ იწვევს დაუღვეწელობა. მაშინ, როდესაც პურადობაში გამოჩენილ სოფლის მღვდელს, ასე თუ ისე საპატიო სტუმრის მიღება უჯდება 10—15 მან. და მეტიც, სრულიად მეტ ხარჯად და, ასე გასინჯვით, სისულელეთაც მიჩნია 3—4 მან. გაიმეტოს ისეთი გაზეთის გამოსაწერად, სადაც მედგრად იცავენ სარწმუნოებას და მსჯავრს სდებენ დღევანდელ სხვა და სხვა შემქმნარ მოძღვრებათა და მიმართულებათა. და ისიც მაშინ, როცა ყოველ სოფელში მიდის კვირამში ორჯერ ფოსტა. ამ სახით სოფლის სამღვდელეობა მოკლებულია სულიერ საზრდოს და კიდევ სუსტია მითი; არ ღებულობს არავითარ ახალ ცოდნას და არც იძლევა მას, რაც შე-

ტის-მეტად სავარაუდოა და საგულთხმო.

როდესაც წიგნის საწყობი ადგილები სავსეა სრულიად საერო შინაარსის წიგნებით და წიგნაკებით, ჩვენს სასულიერო წოდებას არა აქვს წიგნაკიც შესაფერი შინაარსისა და როცა, საოცარის სისწრაფით იბადებიან საერო ჟურნალ-გაზეთები, ასე რომ მათი სახელების დამახსოვრებაც სამძიმოა, სამღვდელთა მხრივ ერთი გაზეთი აქვს—„შინაური საქმეები“, რომელიც ხარბად უნდა დაეტაცნა ქართველ სამღვდელთა, მაგრამ მის წინაშე დიდ გულგრილობას იჩენს ჩვენი მოძღვრები და სრულიად კეთილი მიზნით დაარსებული ორგანო, არ ვიცით, რამდენ ხანს იარსებებს უსაშუალოებისა გამო. განა მიეტყვება ეს სამღვდელთა? ეს ხომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი არ არის, რომელსაც თვით სამღვდელთა მხრივ გამოუცხადა „ბოიკოტი“... რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა? ნუ თუ მღვდელს უთხრას დედა-ენაზე გამოცემული სასულიერო შინაარსის გაზეთი გამოიწერეთ? ნუ თუ ეს ებატი ება მას? ასეთმა მღვდელმა რანაირად უნდა უთხრას სხვას: „სასულიერო შინაარსის წიგნები იკითხო, —ან კიდევ, —მე გაიმბობ ამ საგანზე და შენ მოისმინო?“ თუ ვინმეს ისეთ ბრძანად მიიჩნია თავი, რომ ეთაკილება ამ გაზეთის კითხვა, უკეთესი თვითონ გამოაბრძანოს და თუ ვინმეს კითხვა ეზარება, ის მაინც უნდა წაიკითხოს, სადაც მის პიროვნებას იცავენ, ან ეზებიან და სიღანაც მას შეუძლია ისეთი ცოდნა ამოკრიბოს, რაც მას ყოველ ცისმარედღს ეჭირება. ნუ თუ საკადრისია სამღვდელთა მხრივ, ვისაც მართლა მღვდლად მიიჩნია თავი, ასეთი გულგრილობა პირად მის მოვალეობისადმი.

სანიმუშოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომელიც მოხდა ამ დღეებში მოძღვარ-მოწაფეს შორის დ. ა.—ს.—ში. — მოწაფე ეკითხება მოძღვარს:

- მამაო თქვენ გაქვთ „შინაური საქმეები“?
- აბა, რაღა არა მაქვს შეილო! ვის არა აქვს შინაური საქმეები?
- როგორ! განა სავალდებულოა, რომ ყველას ჰქონდეს?

— აბა, რაფერ შეიძლება შეილო კაცი, რომელსაც შინაური საქმეები ირ ჰქონდეს?

-- ჰო, თქვენ რას მეუბნებით! მე გეკითხებით გაზეთზე.

— მოთხარი რა გაზეთია შეილო! რას ქვია შინაური საქმეები?

— როგორ თუ არ იციო, აგერ შეიღირვა თქვა, რაც სამღვდელთა გაზეთი იცემა, ისიც ქუთაისში, სახელწოდებით „შინაური საქმეები“, მეტად კი გაზეთია, თქვენს ინტერესებს იცავენ, უღმერთო გომართელსაც ესპორებიან და ბევრში გაამტყუნეს კიდევ.

— უი, ღმერთმან დალახვროს გაზეთიც და გომართელიც, მე, ჩემი ოჯახის აწმავს მეკითხებოდი შეგონა... გაზეთებისგან ხერი არავის დაყრია, შეილო; ბუნტი იმან გააჩინა და ქადაგი .. უსაქმო კაცების ნაჯღანით რომ არ წვევისო თვალები, განა ცოტა მაქვს საკითხავი, ჟამნი და დავითნი?

— ჟამნი და დავითნი თავის ადგილზე კაია მამაო, მაგრამ გაზეთი ხომ...

— თავი დამანებე მამა-შეილობას, მაგ უსარგებლო საქმეზე ლაპარაკი არ მიყვარს, — გაწყვეტინა სიტყვა მოსაუბრეს, — მე შენ ის მკითხე სიმინდა რამდენი მოგივიდა და ღვინო თქვა, რომ მესტუმრო და მშვიერ მწყურვალი არ გამოგიშვა.

ასეთი შეხედულება აქვთ ჩვენი სამღვდელთა თითქმის მომეტებულ უმრავლესობას საზოგადოდ მწერლობაზე, რაც უსიტყვოდ მოწმობს უნუგეშო აწმყოს. ასეთი მიმართულების ხუცესი დაჯერებულია, რომ კმარა მისთვის, ოლარი გადიკიდოს და ლოცვები ავტომატიურად წარმოისთქვას. ის იმდენად ფიქრობს თვით განვითარებაზე, რამდენად ჩინეთის პოლიტიკაზე მე და შენ მკითხველო; მას წარმოდგენილი არა აქვს, რომ ის პირი, რომელზედაც ცხოვრებაში არავითარი განმავითარებელი მნიშვნელობა არა აქვს, ვისიც ცხოვრების იდეალს მირტო ქონებრივი წარმატება შეადგენს, რომელიც ქება-დიდებას და ღაწმღვანებას ერთნაირად უყურებს, ვინც საღ გონებას მის არსებაში აღმოცენებისათნავე წარმატებას უსპობს და ვისაც არა აქვს მის აწმყოზე

და მომავალზე უკმა მიინც შორს მჭკრეტე-
ლობის სალი წარმოდგენა, იმის მკერდს ქვეშ
განისვენებს არა ადამიანის გული, ადამიანისავე
სინდლით ამოძრავებული, არამედ გულის აღ-
გილზე დაკიდებული აქვს მექანიკურად მოქა-
ნავე ქონით გარშემოკრული ტესტი, რაგვარ-
საც უკეთებენ კედლის საათებს და ასეთ პი-
რებს არა თუ „ეშმაკის მათრახისტების“ კიენა
და „კუდინი“ გამოადვილებს თვით, პორტარტუ-
რის ყუმბარებიც ვერ დაუფრთხობენ ძილსა.

„ცული ძირთა თანა ხეთასა ჰსძევს; ყო-
ველმან ხემან, რომელმან არ გამოიღოს ნაყო-
ფი კეთილი, აღეკვეთოს და ცეცხლსა დაე-
დვას“-ო, — ბრძანებს უდაბნოს შინა მღალადე-
ბელი, რომლის რიხიანი ხმა პირველად მას
ეკუთვნის, ვისაც ნაყოფის გამოღების პირობა
და ღვთისთვის აღთქმა არ შეუსრულებია, მო-
ძღვრობა უკისრნია და ვალდებულებისათვის
ულალატნია.

ვინ ზრუნავს ასეთი სამღვდლოების გა-
უმჯობესობა-განვითარებისათვის? ვის ეკუთვნის,
რომ ამ სამღვდლოების ცხოვრების საათი
მორთოს და ამოძრავოს? ვინ ფიქრობს, რომ
მათ აგრძობინოს გემო თვითგანვითარებისა?
თითქმის არავინ. არის პასუხი. — მოწინავე სამ-
ღვდლოება, ანუ ეგრეთ წოდებული სემინა-
რიელები, ამ საქმისათვის ყოველად უსარგებლონი
გამოდგენენ; იმათ თავის სემინარიელობით დი-
დად მოაქვსთ თავი და ქარაფშუტობას უფრო
უთმობენ დროსა და ჟამს, ვიდრე საქმეს; ესეც,
რომ არ იყოს, სხვების მოსამზადებლად ისინი
თვით მოღუშადებულნი ბრძანდებიან... ეპარ-
ქიის მთავრობას, რომელსაც უმისოდაც დიდ-
ძალი საქმეები უგროვდება, არ შეუძლია თი-
თოეული სოფლის ხუცესის გონებრივ სილა-
როში შეიხედოს და რაც არ მოხსენდება იმაზე
მსჯელობა იქონიოს... მ.მ. კეთილ-მოწესებებს
თუმც არ გამოეპარება არც ერთი მღვდლის
ასეთ თუ ისეთი აზრი და მოქმედება, მიუხედა-
ვად ამისა, „სხვაგან მჭრის მათი გონება, მათმა
თავისა წონაზან.“ ისინი სამღვდლოების კე-
თილდღეობისათვის სრულიადაც არ ფიქრო-
ბენ... მაშ, ვინ უდა იზრუნოს სამღვდლოე-
ბისათვის? — თვით სამღვდლოებამ. — მას თვი-

თონვე შეუძლია ყოველგვარი დანაკლისი შე-
ივსოს დაუზარებელი შრომით, მეცადინეობით,
ცნობის მოყვარეობით და თვითგანვითარების
წყურვილით; აქ უსაშველო არა არის რა.

მე ფვალ-წინ მიდვას მაგალითი ერთი სოფ-
ლის მღვდლისა. ამას წინეთ, ფოთიდან ახალ-სე-
ნაკში, მესამე კლასის ვაგონში, ერთი დაჯერე-
ბული სოციალ დემოკრატი, — ი. გ. ეკამათე-
თებოდა სოფლის მღვდელს, — მ. ი. კ — ძეს
(გურულია). დავის საგანი, რა თქმა უნდა, ეს-
დევურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. ამ ორი,
ერთმეორის არსებითად მოწინააღმდეგეთა და-
ვით სმენად გარდაქცეული ხალხი, ბლომად
იყო ვაგონში. მღვდელი იმდენად მომზადებუ-
ლი და საგნის მკოდნე აღმოჩნდა, რომ მან
ყოველ ნაბიჯზე შეაჩერა ესდევნი; ნათელი სს-
გნებით და ცოცხალი მაგალითებით დაუმტკიცა
მოწინააღმდეგეს, რომ მისა შეხედულობა თუ
არა ბნელში, სინათლეზე არ გამოიტანებოდა.
ამას პირველის წერით უყურებდა ხალხი, რო-
მელსაც საზეზე ეტყობოდა, რომ სრული თანა-
მგრძობი იყო მღვდლისა. ნაძღვემა დემო-
კრატმა, დაჯერებული მაყურებლების წინაშე,
ისიც ვერ გაუბედა მღვდელს, რომ ეთქვა სა-
ზოგადოდ დემოკრატების ქანდაკული მდგო-
მარეობიდან გამომყვანი სიტყვები: „შენ მოუ-
მზადებელი და შეუგნებელი ყოფილხარო.“ —
როგორც გავიგე, ეს მღვდელი მხოლოდ ოთხ-
კლასიანი ყოფილა, მაგრამ განვითარებული-კი
ძალიანი... უმდაბლესად ბოდიშს ვიხდი მ. აღექ-
სი ბერთან, რომ სამაგალითოდ მომყავს. — სად
მიიღო მან სკოლური სწავლა?... ნურავან იტ-
ყვის, ვითომც ესენი „ისკლიუჩნიები“ იყოს.
ვინც იმეცადინებს „ისკლიუჩნიეც“ ის იქნება
და არც არავის შეეძლება მისი სანახროდ
აგდება.

რალაა საქირო, რომ სოფლის სამღვდ-
ლოება დაადგეს თვითგანვითარების გზას?

გარდა იმისა, რომ აუცილებელი საქიროა
სასარგებლო ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სამ-
ღვდლოებისთვის სავალდებულოდ გახდეს, —
საქიროა დაარსდეს საზღალაოწინო სამღვდლო-
ების ყოველთვიური სავალდებულო კრებები.
ამ კრებებს ის მნიშვნელობა ექმნება სამღვდ-

ლოგებისათვის, რაც კურსებს მისწავლებლები-სათვის. ამ კრებებზე, რომელიც იწარმოებს განსაკუთრებულ, კერძოდ ამისთვის შემდგარ კომისიის მიერ შემუშავებულ პროგრამით, სამღვდლოებას საშუალება ექნება გადასცეს ერთი-მეორეს თავიანთი აზრი და შეხედულო-ბა; ექნებათ მსჯელობა და კამათი საჭირო საგნებზე; თავის დროზე მოისმენენ მთავრობის განკარგულებას; ნება უნდა ექმნეთ გაჰკი-ცხონ ზოგიერთ პირების (მათს წრეში) უგვა-ნო საქციელი და მოქმედება, რომელნიც ვერ აღწევენ მთავრობის ყურადღებამდე და რომ-ლითაც ჩირქი ეცხება მთელს სასულიერო უწყებას. აგრეთვე გაუსწორებელ პირებზე მო-ახსენონ მთავრობას; გადასცემენ ერთი-მეორეს საყურადღებო ცნობებს დრო-გამოშვებით გა-მოცემებიდან; მიაქცივენ ყურადღებას კერძოდ საქართველოსა და საზოგადოდ რუსეთის სამ-ღვდლოების ცხოვრებას; საერთოდ გაითვა-ლისწინებენ რა თანამავალს დროებას, სამრე-ვლოთა მართვა-გამგეობაში დაადგებიან ერთს გზას, რომ რომელიმე მღვდლის ასეთმა, თუ ისეთმა მოქმედებამ არ დაჰბადოს შური და მტრობა მოძღვრისადმი მეორე მრევლში; იხელ-მძღვანელებენ მეზობელ საბლალაჩინო კრებე-ბის სამაგალითო დადგენილებით, თუ ასეთი სადმე აღმოჩნდა; ამ სახით თანდათან აღძვრე-ბათ სურვილი და ხალისი საზოგადო და სასარ-გებლო საქმის დაწყების და თვითგანვითარები-სადმი და სხ... ერთი სიტყვით, ეს საქმე, რო-მელიც არ იწვევს არავითარ ხარჯს და გაწა-მაწიას, პირველ შემთხვევაში დიდს ხარგებლო-ბას მოუტანს ჩამორჩენილ სოფლის სამღვდ-ლოებას.

თუ ვინმე ითაკილებს ამას და ასეთ წრთვინას შეუსაბამოდ დაინახავს, მას შეუძლია მოიგო-ნოს ქართული გონიერული ანდაზა: „გო-ნიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა გმირდესო;“ მას შეუძლია დააკვირდეს და გა-იგოს, რომ მალალ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთაც სჭირდება, გამოცდილების მისაღებად, სხვა და სხვა ადგილებში გამგზავ-რება, თორემ სოფლის დიპლომატიიდან მღვდლო-

ბის ხარისხსე ასულ პირს, მით უმე-ტეს.—

კირილე წუთისოფელი.



მოსეს თქმულება ადამისა და ევას შინა-ღვთაზე ნამდვილი იბორობა, თუ ალლე-გორია და მითი?

(გაგრძელება*).

V.

ახლა დავთანხმდეთ, რომ გველიც არაა რეალური საგანი, რომ იგიც რაიმე სახეა და არა ის ცხოველი, რომელიც ჩვენ ვიცით. მე-რე ევა ვის აძლევდა პასუხს? ვის ხედავდა? ვის დაუჯერა, ან როგორ გაიგო, რა მოსდიოდა თავზე?! ან როცა ღმერთმა შერისხა, რათ ქქე-ნი ეს ცოდვაო, ე. ი. ადამი რატომ გააბრიყ-ვეო, რატომ მიუთითა გველზე ევამ და უთხრა, მე გველმა შემაცდინაო?!

ამას გარდაც, რათ უწოდებს მოსე გველს უგონიერეს მხეცად („გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა“), თუ ის ნამდვილი მხეცი არ იყო?! საზოგადოდ ნამდვი-ლი, რეალური გველი მაშინაც ითვლებოდა და ეხლაც ითვლება სიბრძნის სი ბოლოდ; იესო ქრისტეც ხომ უსურვებდა მოციქულსა „გვე-ლის სიბრძნეს“ და „მტრედის სიმშვიდეს?!“ რატომ მოსე ველარ ილაპარაკებდა რეალურს გველზე და ვერ ჩათვლიდა მას გონიერ მხე-ცად?! უმკველია, ეშმაკმაც განგებ აირჩია გველი, როგორც უფრო გონიერი ცხოველი და იხმარა ეს გონიერება არა კეთილი თვისე-ბის აღსანიშნავად, არამედ ბოროტ თვისებად, ეშმაკობად (კალლიდუს)..

შემდგარია შტორის აზრიც, ვითომ ღმერ-თი, როცა ის წყველიდა შეცოდებულებს და გველს, ელაპარაკებოდა არა რეალურს გველს, არამედ ბოროტ სულს. მაშინ როგორღა გავი-გოთ ღვთის სიტყვები: „წყველ იყავნ შენ ყო-ველთაგან პირუტყვთა და ყოველთაგან მხეც-

* იხ. „შინ. საქმ.“ № 11.

თა ქვეყანისათა, მკერდა ზედა და მუცელსა ზვიდოდე და მიწასა სქამდე“? როგორ? ეშმაკი „მხეცია“ და „პირუტყვია“? ეშმაკი მუცლით ხობავს? ეშმაკი მიწას სქამს?! ცხადია, ევას შემცდენელს ღმერთი მიტომ უწოდებს მხეცად და აკუთვნებს მხეცთა და პირუტყვთა კლასს, რომ ის ნამდვილი პირუტყვი და მხეცი იყო. კიდევ გვეყითხებიან ალლეგორისტები: გველის რაღა ბრალი იყო, რომ დაისაჯა? მართალია, თუ ჩვენი თვლით შევხედავთ საგანს და ჩვენი საზომით გაზომთ, მაგრამ ეს ზომა არ გამოდგება აქ. ასე რომ არ იყოს, ფარაონი რომ დაღუბა ღმერთმა ზღვაში, ცხენებს რაღას ერჩიდა?! (გამოსვლ. 15, 21) არა, დღესაც ვისიმე საყვარელი შვილი რომ დანაზე დაეცეს და მოკვდეს, მამა დანას ჯიბით აღარ ატარებს, არამედ გადაადგებს. მაშინ კი, უმეტეს ამისა, ებრაელებს კანონდაც ედევით (მეორე სჯულთა 13, 15), რომ კაცი შენაცოდები პირუტყვთან, უნდა ჩაქოლილიყო პირუტყვითურთ და აღამიცა და ევაც დაისაჯენ იმ გველითურთ, რომელიც გახდა მათი დაღუბვის იარაღად. „მოსრვით მოისრნეთ მკვიდრნი იგი მის ქალაქსანი პირითა მახვილისათა და... ყოველივე, რაიცა იყოს ქალაქსა მას შინა და სახსოვარი მათი მოსართ პირითა მახვილისათა, რამეთუ ორთავე თანამდებ არიან“ (ლევიტელთა XX, 15—20). გველი ბოროტებისათვის არ გაუჩენია ღმერთს, არამედ სასარგებლოდ კაცისა. ახლა გავარჩიოთ ფილონის აზრი. „მაკაკი (ადამი), — ამბობს იგი, გონიერებაა, დედა-კაცი — გრძნობიერებაა, ხე — სიბრძნეა.“ მაგრამ როგორ გავიგოთ, ან რა აზრია ამაში, რომ სიბრძნემ (ე. ი. ხემ) დაღუბა გონიერება (ადამი) და გრძნობიერება (ევა)?! აბსურდია ხომ?!

ბეფენზანდი-კი რაღა უკეთესს ამბობს! მის აზრით, სამოთხე ადამის სხეულია, ხე — მისი ასაკში მოსვლა და სხვა. მერე ადამი თავის სხეულზე სეირნობდა?! ბაღში რომ დადიოდა, თავის ტანზე დადიოდა?! ამ ნაირად ალლეგორიული ახსნა სრულებით შეუწყნარებელია.

VI.

ახლა გადავიდეთ მითიკურ თეორიებზე.

დავიწყოთ გაბლერის აზრიდამ, რომ ვითომ ენა ადამსა და ევას არ უნდა ჰქონოდათ, როგორც პირველს ადამიანებს, რადგან, როგორც ფილოლოგია მოწმობს, ენა კაცს თან-და-თან გაუჩნდა და გაუვითარდაო და თუ მაინც-და-მაინც ადამი და ევა შესძლებდნენ ერთი მეორეში აზრების გაზიარებას ენის შემწეობით, ისე განვითარებული ენა მაინც არ ექნებოდათ, როგორსაც მათ აკუთვნებს მოსე. კიდევ სხვა ნაირად რომა ვსთქვათ, გაბლერის აზრით, მოსეს თქმულებაში პირველი კაცი ღვთისაგან ღებულობს მზა ენას, მეცნიერება კი ამის წინააღმდეგს გვიმტკიცებს.

ჩაუუკვირდეთ კარგად ამ ძნელს საკითხს. გაბლერი ამბობს: „ენის გაჩენისათვის ღვთის ამ საქმეში ჩარევა სრულებით ზედმეტიაო“, ე. ი. ენა უღვთოდ გაჩნდა ადამიანში და არა ღვთის დახმარებით. მაგრამ ამ აზრს არ ეთანხმება არც ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი შედარებითი ფილოლოგიისა უკანასკნელს სამს საუკუნეში. როცა ეს მეცნიერება დაიბადა და განვითარდა. ყველა სპეციალისტები გვიმტკიცებენ სრულიად წინააღმდეგ აზრს, სახელდობ მას, რომ ენის გაჩენაში ზეშთავონება და დახმარება საჭირო და აუცილებელი იყო. საუკეთესო წარმომადგენელი შედარებითი ფილოლოგიისა, ვილგელმ გუმბოლდტი ამბობს: „სიტყვა, ჩვენი გულწრფელი რწმენით, არის თანამედროვე კაცია“, ე. ი. კაცი თუ იყო ოდესმე, მასთან ენაც იყო. წინააღმდეგი თუ ვიფიქრეთ და დავუშვით ის აზრი, რომ ენა არის ქმნილება, თხზულება კაცის გონიერებისა, მაშინ სრულიად გაუგებარი დარჩება ეს ჩვენთვის, რადგან პირველი კაცი ძლიერ განვითარებული იყო და ვერ შეძლებდა ასეთს დიდს საქმეს. ენის შეთხზვა ყოველად შეუძლებელია, თუ პირველი მზა სახე, ნიმუში არ აქვს მიცემული მის მთხველსო.“ *) „ვინც ოცნებობს, რომ ენის შეთხზვა მოხდებოდა დროის განმავლობაში, ან რომ ენის ერთი ნაწილის შეთხზვით კაცი გახდებოდა უფრო კაცი (უკეთესი ადამიანი), იგი უარს ჰყოფს განუყრე-

*) ჩემენა დარვინიზმი—375..

ლობას კაცის შემეცნებისას და ენისას*)

ასეთივე აზრისაა ჟანეაკ-რუსსოც, მე-18-ე საუკუნის ენციკლოპედისტი, რომელსაც ვერ დაეწამებთ სარწმუნოების საქმეში მიდგომილებას. „კაცი, — ამბობს იგი, — ვერც მიხედება და ვერც წარმოიდგენს, რომ ვითომ ადამიანები ოდესმე შესძლებდნენ სიტყვების შეთხზვას, თუ ღმერთი განგებ არ ასწავლიდა მათ სიტყვას. ***) „მე ცხად ქვეშაობად ვლებულობო, განაგრობს რუსსო, — რომ სახელები თავდაპირველად საგნებს დარქმეული აქვსთ უმაღლესი არსების ძალით, ამიტომაც ისინი ასე ნიშანდობლივი არიან“ ***). ვინც ცხოვრებას დააკვირდებაო, ამბობს მესამე მეცნიერი ბერიში, — ენის გაჩენის საქმეში „ყველასათვის ცხადია ღმერთ-კაცობაო ყოველ ბიჯზე“ ე. ი. მონაწილეობა ღვთისა და კაცისა. ****) ამასვე ამბობს სიუსმილხიცი. ცხადია, რომ ენა ადამიანს თანამედროვეა, უნო ადამიანი არ ყოფილა. მართლაც ადამიანი შობს აზრს, აზრი კი ითხოვს გამოხატვას ენით, მაგრამ ენაც ხომ აზროვნებას ითხოვს? არ უნდა ფიქრი სიტყვის მოგონებას?! აი აქ იყო მისთვის საჭირო ციური დახმარება, მხოლოდ პირველი ენა ისეთივე განუვითარებელი იყო, როგორც თვით კაცი. ის თან - და - თან განვითარდა ადამიანთან ერთად. *****)

შეგხელოთ ამავე საგანს მეორე მხრით. რა არის კაცი? თუ გინდ სულ პირველი ველური კაცი აღო, ის შიანც არის „სულიერ-გონიერი არსება. მაგრამ ამ ცნებაში შედის სიტყვის ნიჭიც, რადგან „კაცი კაცადვე იზადება და არა მხეცად“, ამბობს ვარიერი *****) მერე ეს კაცი შეიძლება იქნეს უმთავრესი თავისი თვისების გარეშე, ე. ი. უნოთ? მაშინ ხომ კაციც აღარაა იგი. კაცი იმიტომაც კაცი, რომ აქვს ლაბარაკის ნიჭი, და რომ ილაპარაკ-

კოს, იგი მაშინვე უნდა იყოს კაციც. *) „ენა და აზრი, — ამბობს ერნესტ რენანი, — განუყრელია; ივინი თანამედროვეა; უნოთ გონიერება არაა, უგონიერებოთ — ენა არაა, — ეს აქსიომაა. მათი გაყრა მოასწავებს სიკვდილს ერთისასაც და მეორესასაც **). მაშასადამე პირველი კაცი, როგორც კაცი და არა მხეცი, უნოთ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ კი რომ მის თავში იყო აზროვნების პროცესი, ადამი და ევა უკვე სრულ კაცებად იყვნენ შექმნილნი (და არა ბოვშებად) და უნდა აუცილებლად ეაზროვნათ. ახლა ჩავუკვირდეთ ენის გაჩენის პროცესს ისე, როგორც რაციონალი-სტები გვეუბნებიან. მათი აზრით, ადამიანმა ენა ცხოველების და ბუნების მიბაძვით შექმნა. მაგრამ შესაძლოა ეს? ნუ თუ უსიტყვო არსება შთააგონებს ვისმეს სიტყვის დაბადების საიდუმლოებას? ამას დარვინის მეტი და მის ორიოდ მამდევართა მეტი არავინ აღიარებს მაშინ, როცა მის წინააღმდეგ გამოდის მთელი გუნდი შედარებით ფილოლოგიის საუკეთესო წარმომადგენელთა. თვალსაჩინო ფილოლოგი მაქს მიულლერი სულ წინააღმდეგს ამტკიცებს. „ჩვენ იმავე აზრს ვადგივართო, — ამბობს ის, — რომ, თუმცა რომელიმე ენაში შეიძლებოდა შესულიყო ხმები (ბგერანი) მოღრიალენი, მსტვენენი, მოსისინენი, მოკაკანენი, მკვენესენი, როგორც მაგალითად გოტტენტოტების ენაში... მაგრამ კაცის ენა, რომელიც ჩვენ შეგვიგნია, უჩვენებს შიანც სრულიად სხვა ჩამომავლობას, ასე რომ ადამს უნდა ენა ჰქონოდა და ღმერთთან საუბარიც უნდა შესძლებოდა, როცა იგი მცნებას ღებულობდა ღვთისგან.

VII.

ენის გარდა დიდს კამათს იწვევს მცნება, რომელიც ღმერთმა დაუდო ადამს, ე. ი. ხილის აკრძალვა. აქ გაბლერს გვერდით უდგია ცნობილი უარის მყოფელი შტრაუსი და ორივენი გვეკითხებიან: რა ადგილი ჰქონდა ამ

*) გარტმანი: еушность мирового процесса 1873, 192.
**) ჩემენა — დარვინიზმი 178.
***) იქვე.
****) Морницъ карьеръ. Искусство т. I, 24.
*****) იქვე.
*****) Искусство I, 45.

*) Чемева — Дарвинизмъ — 373.
**) Ibid. შეადარე: Потебниа — мысль и языкъ (журн. Мюн. Нар. Просвѣщ 1862 г. ч. 113)

მცნებას? რა აზრია მაში? მის უადგილობრიდან და უაზრობიდან არ შეიძლება ის არ დავასკვნათ, რომ არავითარი საუბარი არ ჰქონია ღმერთს ადამთანო? გავარჩიოთ.

ადამი გამოყვანილია მოსეს თქმულებაში სრულ ასაკში მყოფ კაცად. მაგრამ მისი ბუნება უმეტესს, იდეალურს განვითარებას ითხოვდა, ამას კი სჭირდებოდა შესაფერი ვარჯიშობა. ამ მიზნის მისაღწევად და დანიშნულების შესასრულებლად ადამს ყოლიფერი საჭირო მისცა ღმერთმა: საზრდოთ ხილი, სამუშევრად ბალი, საფიქრებლად ცხოველები, შემწვედ ცოლი.“ (კეილი)—მაგრამ ადამის ბუნება არ იყო სრული, როგორც ღმრთის, ამიტომ მას შეეძლო შეცოდება. მაგრამ ადამს უნდა ჰქონებოდა თუ არა, ამაზედ წარმოდგენა, რომ გაბრთხილებოდა თავის თავს? ამის მუდმივი გამხსენებელი იყო აკრძალული ხილი. ეშმაკიც გამოსაცდელად და გასაწრთვნელად მიუშვა ღმერთმა. ასეთი მუდმივი დარაჯი ჩვენ ბუნებაშიცაა ჩასახული—სინდისი, მაგრამ რატომ ეს არ გვეუცხოება და არ ვსაყვედურობთ, რომ ასეთი დაუძინებელი მატლი გავვიჩინა ღმერთმა? მაგრამ ესეც არ კმარა და ყოველს ხალხს და ადამიანს ამ შინაგან კანონთან ერთად ჰქონებია ყოველთვის გარეშე კანონიც—სახელმძღვანელოდ ცხოვრებაში. ამასვე მოწმობს მოციქული პავლეც—მსოფლიო ისტორიასთან ერთად. რაღა მარტო ადამს აღარ უნდა ჰქონოდა ასეთი ხელმძღვანელი კანონი? ანგელოსნიც კი პირველად სკოდავდნენ, წმიდა მამათა მოძღვრებით, — მხოლოდ დიდი ხნის სულიერი ვარჯიშობით მივიდნენ ბოლოს იქნამდე, რომ „აღარ იძვრიან ბოროტისადმი“. ადამმა ვერ გაუძლო განსაცდელს და დაეცა. მაგრამ ამით არც ის თავისუფლება პასუხისგებისაგან და არც ღვთის სახიერება ირღვევა. ადამს არა აქვს რა სასაყვედურო. მისი გზა ბრწყინვალე იყო, ბუნება დაუღალავი და სალი, მას წინ არ ეღობებოდა შინაგანი ვნება ღმერთივც ხელს უწყობდა და წინ უძლოდა.

არც განსაცდელის შეჩერება იყო მოსახერხებელი. „სამოთხის კარები მაცდურს გაეღო, ცნობადის ხისკენ გზა ადამს გაეწალდა,

რადგან მაცდურიც და შემცდარიც ორივენი თავისუფალი არსებანი არიან—კეთილიც და ბოროტიც მათი ამოსარჩევია და არა ფიზიკური აუცილებლობა, ან ზნეობრივი ძალდატანების საქმე. ადამი ხომ ბავშვი არაა, რომ ძალით წაიყვანო მაცდურისგან და დაუშალო საშიშარი საგნები? ეშმაკიც მიდის მასთან არა ძალის დასატანებლად შესაინწროებლად, არამედ მხოლოდ შესაცდენელად მოხერხებით, რჩევით, ჩაგონებით,—ე. ი. იმ იარაღებით, რომელნიც იმოქმედებენ თავისუფლებასზე, მაგრამ ძალას ვერ დაატანენ მას, ვერ აიძულებენ (გოლუბინსკი 114). ისიც კი არის სათქმელი, რომ ეშმაკი არ გამოცხადებია მათ ციური არსების სახით, რომ მათ შეშინებოდათ, არამედ ქმნილი არსების სახით, რომელიც (არსება) უკვე დამორჩილებული ყავდათ მათ ღვთის განკარგულებით. მაშასადამე კაცი—მეფე უნდა ყოფილიყო და მბრძანებელი გველისა და არა გველი მათი უფალი და ბატონი.

ჰო და რა გამოდის? ნუთუ მცნებისაგან არს ცოდვა? ვიკითხავთ ჩვენ მოციქული პავლეს სიტყვით—ნუ იყოფინ. ცოდვა კაცში ბუნებით შესაძლო იყო. მხოლოდ მან ეს არ იცოდა, რადგან კანონი არ იყო და მაჩვენებელი მისა, თუ რა არის ცოდვა. როცა მცნება გაჩნდა, ცოდვაც გამოჩნდა, რადგან მან უთხრა კაცს, ეგ ღვთის ნების დარღვევა არისო. „თვინიერ სჯულისა მკვდარ არს ცოდვა“ — ბრძანებს იგივე მოციქული (რომ. 7, 7—8, „ამიტომ სჯული წმიდა არს, და მცნება იგი წმიდა და მართალი, და კეთილ.“ (i I—12); „რამეთუ სჯული სულიერ არს, ხოლო მე (კაცი) ხორციელ ვარ (ii. 14) და განფრდილ ცოდვასა შინა“.

ტონკველი.

(შემდეგი იქნება)



უმთავრესი ხელშეწყობის მიზნის სასაქმიანი და მათი მოხმარება მუხრანში.

„თუ არის საქონლის საკვები—იქნება საქონელი; თუ არის საქონელი—იქნება ნებე; თუ არის ნებე—იქნება პური“.

პროფ. ივ. კიუნი.

წინა წერილში მოგახსენეთ, რომ მცენარის არსებობა შეუძლებელია, თუ რომ მან ვერ იშვავს კერძოწოდებულ მინერალურ ნაერთებს, რომელსაც ის სწავს მხოლოდ მიწიდან თავის ძირებით.

მინერალური ნაერთები მიწაში ბევრ ნაირად და ზოგი მათგანი ბევრად არის, მაგრამ ის ნაერთები, რომელიც ყველაზე უფრო სჭირდება მცენარეს, შედარებით ნაკლებად არის მიწაში და ისიც გამოუდგარი იქნება მცენარისათვის, თუ რომ მიწა თავის დროზე და რაგანად არ არის დამუშავებული. ამ მინერალურ ნაერთებს ეძახიან: ერთს—ფოსფორს და მეორეს—კალს.

არის კიდევ მესამე ელემენტი, რომელიც ისე სჭირდება მცენარეს, როგორც ფოსფორი და კალი. ამას ეძახიან აზოტს.

აი ეს სამი ელემენტი—კალი, ფოსფორი და აზოტი შეადგენენ აუცილებელ საჭიროებას მცენარეობისათვის.

აზოტი ჰერში აწარმოებულია, მაგრამ ამნაირ აზოტით ვერ სარგებლობს უმეტესი მცენარეები.

საქონლის ნებისა იმყოფება ის მარცხები, რომლებშიდაც არის ფოსფორი, კალი და აზოტიც, მაგრამ სადა არის იმდენი საქონლის ნების რაოდენობა, რომ უზარადად ზომამდე დასაღული და მშობრივი მიწა გამოადონს, სადა არის იმდენი ნების, რომ იმან, თუ რომ თავის დროზე იქნა იმით მიწა მონაკლები და ამასთან მიწაც თავის დროზე და დამუშავებულია, მიწაში მეოთხე ფოსფორი და კალი ისე შეამზადოს მცენარეობისთვის, რომ მათ მცენარეებსა ისარგებლოს? ნებისა რომ იმდენი იქნეს, ზოგაერთ მცენარისთვის მანაც საჭირო არის მომარტება კალის, ფოსფორის და აზოტის; ამ შემთხვევაში მცენარე დიდებულად იზრდება, და ბევრს ნაყოფსაც იძლევა, მით უფრო, თუ ამასთან თავის დროზე საკმარისი ნატილი ექნა მიწაში და სითბოც.

მცენარებს ეს არ დაურჩა შეუმჩნეველად განათლებულმა შირებმა ხელაგნურად მოამზადე, ისეთი მინერალური მარცხები (ხელაგნური მიწის სასუქები), რომლებშიდაც იმყოფება მცენარისთვის საკმარისი კალი, ფოსფორი და აზოტი. აი ასეთ მინერალურ მარცხებზე მიწა მოგახსენოთ რაიმედე სიტუაცია, რადგანაც უფრო კრცლად ამხედ ხასია მოინდომებს არა ერთ წიგნის ტომს.

ფოსფორი არის თომას *) ფეკალია.

თომას ფეკალია, გარდა ფოსფორისა, არის კიდევ 34—35 პროცენტამდე კირი, რომელიც საჭირო არის მცენარეობისთვის, როგორც მინერალური ნაერთები.

თომას ფეკალია ისეთი დიდი უზრუნველად დამსახურდა მეურნეობაში, რომ იმას კვლავ ზოგაერთ სახელმწიფოებში უკანასკნელი დარბი მუშაც იქნეს და მათ აუქებს თავის მიწას. სტატისტიკურის ცნობებით 1899 წელს შად ინგლისში ინგლისის სახელმწიფომ მოაყარა თავის მიწას 7,808,000 ფუთი თომას ფეკალია, 1901 წელში დაახლოვდა: გერმანიაში 61 მილიონი ფუთი, საფრანგეთში—12 მილიონი, ბელგიაში—3,861,024 ფუთი, რუსეთში—3,014,500 ფუთი.

თომას ფეკალიაზე მე იმითად შეგნებდი, რომ ის მის თვალსაზრის დარსებასთან უფრო იათა, კიდრე სხვა მარცხები, რომლებშიდაც იმყოფება ფოსფორი, და მასსადამე უფრო ადვილად შეუძლია ჩვენმა მემამულეებმა ის ფუნალი (ფეკალია) შეიძინოს. თომას ფეკალით მიწის დანაკლავ, ან მისი მიწაზე მოურა შეიძლება ყოველ კვარ მიწაზე და ყოველ დროს—შემადგევე, ზამთარში, გაზაფხულზე; აი ამიტომაც არის, რომ ის აგრე კრცლდება ყოველ სახელმწიფოში.

რას რაგათ უნდა მიწის მონაკლავ თომას ფეკალით? რა მცენარეობისთვის სმარობენ თომას ფეკალს?

სახელმწიფო გარეთ ფეკალის თანასწორათ მოსაყრელად მოგონილია სხვა და სხვა მანქანები, მაგრამ უამისოდაც ადვილია მისი თანასწორათ მოყრა მიწაზე: შეურიეთ ერთი წილი ფეკალია ორსამ წილ მშალ სილას ან დაფუნალი მიწას, კარგათ აურ-დაურეთ და მოაყარეთ მიწას ისე, რომ

*) თომას ინგლისელია, რომლის ხელმძღვანელობით ფოსფორს აშორებენ თუჯს.

გორც ჰერანს (თესეს) დამის ან ფეტვის მარცვალს. ვისაც კანტარესება გაკლეს თომას ფეტვილის სიმაღლე, შურებზე, ღომზე და სხვა უსუნის მცენარეებზე, ნუ დაიხარებს შემდეგ წდას: შიძინოს ესედა ეს ფეტვილი, ერთ ჰერეს ვუოფა 7—10 ფუთადე; გაზაფხულზე ძალიან ადრე თანასწორათ მოაყარეთ მიწაზე მიწა ან სილა კარული ფეტვილი და დახანით მიწა; ვადეკ უკეთესი იქნება, შემოდეკზე რომ მოაყარათ დაფეტვილი და დახანით მიწა; ან ადრე დაიხარებს მიწა, მით უფრო სისარკებლო იქნება მცენარეებისთვის. შარულთა უმატებს მოსავალს და ჩლად კარგი მოდის. ვისაც აონჯა ან კონდარი გაქს დაოესილი, მოაყარეთ მას 7—10 ფუთი ფეტვილი (ქრეკაზე), თანასწორათ და რამოდენიმეჯერ ფარცით გააარეთ; ვეღაზედ უმჯობესია რეანის კბილებანი შარცსა; რაც ღრმად დაიფარცნება, იმდენად უკეთესია. თუ ამ მცენარეების თესლების დათესვას აზირობთ გაზაფხულზე, მიწა მოამზადეთ შემოდგომადგან ესედა დახანით და დაუფარცნათ დასტოკეთ; ადრე გაზაფხულზე მოაყარეთ ფეტვილი და სელ ახლა დახანით და შემდეგ (ერთ ორ თვის შემდეგ) დათესეთ.

ხესილების ან გაზის დარგვის დროს ორმოებში ხესეთან ერთად ჩაუღლებთ თომას ფეტვილიც, (ქრეკაზე 15—25 ფუთადე); თომას ფეტვილი გამოაწვევს მტის ნაყოფს კარგი გეოისის უკველლობით.

ბოსტნეულთაზე შესამჩნევ მოსავალს აძლევს თუ რომ ხესეთან ერთად ახმარეს ფეტვილი, 8—10 ფუთი ქრეკაზე.

(შემდეგი იქნება).
ნ. მკურნალი.



შეშალვლობა სოციალიზმისა.

ქარი პირველი

განხილვა ზოგიერთ წინასწარ საკითხთა.

§ 1. სოციალდემოკრატიული კეცემალულობის თამაშობა.

(ვ. კარენინის წიგნიდან „სოციალიზმი“)

სოციალდემოკრატები ძალიან მარჯვეთ

არიან აწინდელ საზოგადოებრივ წესწყობილების კრიტიკა—დაწუნებაში. უწესობა, არეულობა, ბოროტმოქმედება, რომლებიც ყოველდღე ხდებიან, დიდები არიან ისინი თუ მცირედნი თავისთავად, საბუთს აძლევენ სოც. დემოკრატებს უკეთესონ უსამართლობა, უმართებულობა და გაკოტრების მოახლეობა აწინდელს საზოგადოებას. მხოლოდ ს. დემოკრატის იმედი უნდა გვქონდეს, მხოლოდ იგია ქვეშარიტი მხსნელი დაჩაგრული კაცობისა. ასეთი და ამის მსგავსი ტირადების წაკითხვა ყოველდღე შეიძლება „ვორვარტში“ და სოციალდემოკრატიულ სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

დაწუნება ადვილია. მაგრამ, როცა საქმე მიდგება საკითხზე—თვითონ სოციალისტებს რის აღმართვა ნებავეთ აწინდელ საზოგადოებრივ წესწყობილების მაგიერ, მაშინვე მათი სიმხნე და გამბედავობა საღდაც იკარგება. მის მაგიერად, რომ ახლილად გამოვიდნენ მომავლის გეგმით, სოც. დემოკრატები იმალებიან, სტდილობენ თავი დააღწიონ გარეშე, უმნიშვნელო ლაპარაკით, მიკიბ-მოკიბებით, ვინც მათ ახსნასა სთხოვს, ისინი თავზე აყრიან იმ გვარს გინებას, როგორც მაგ. „დოგმატიური უგულსიყურონი, სრული უმეტრები, განუკურნებელი სულით ავადმყოფები“ და სხვა...

რისთვის? მიზეზის პოვნა ადვილია. ს. დემოკრატია გერმანიაში შეიქმნა მრავალ რიცხოვან და ძლიერ პოლიტიკურ პარტიად. მაგრამ პოლიტიკური პარტიები ძლიერები არიან იმ დრომდე, ვიდრე კმაყოფილდებიან უარყოფითი პროგრამით, სხვათა დაწუნებით და შეწუნებით. სწორედ ამ გარემოებას აქვს მნიშვნელობა უკმაყოფილების გაურცელების ხანაში. პირიქით, გამოვიდოდნენ თუ არა ს. დემოკრატთა მეთაურები გადაწყვეტილი დამტკიცებით პროგრამით, დამტკიცებით გეგმით, პარტია დაუყოვნებლივ დაიყოფებოდა ნაწილ-ნაწილებად. ამ შემთხვევას შეეფერება ძველებური ანდაზა: „რავდენიც თავია, იმდენი ქულია“.

ამიტომაც ს. დემოკრატიული მიზნები ჯერჯერობით დაფარულია, რადგანაც სოციალისტებს ეშინიანთ კრიტიკისა, ეშინიანთ შერცხვენისა. ცხოვრებაში კომუნისმის განხორცი-

ელების ყოველმანვე ცდამ, რადენიც კი ყოფილა ეს ცდა, მინოსიღამ დაწყობილი იკარით გათავებამდე, სულ ფუქად ჩაიარა. *) იმ პირებს, რომლებსაც ნათელი შეხედულება აქვთ საგნებზე, შეეძლოთ ყველა ამის წინდაწინვე დანახვა და წინდაწინვე თქვა სრულიად აშკარად და სარწმუნოდ. ჩამოეშვებიან თუ არა ს. დემოკრატები მქერმეტყველობის მაღალ ფარდებიდან და სცდიან თუ არა ჩვენ წინ თვისი გვეგის დახატვის მომავლის შესახებ, მაშინვე აშკარადღება, რომ ეს გვეგა არის გაგრძელება ყოველად შეუძლებელ ოცნებათა. ამიტომ ზოგნი მათგანი იქცევიან თანახმად ბრძნული ანდაზისა: „მდუმარება ოქროა“.

რომ სწორედ ეს აიძულებს ს. დემოკრატებს კეკეშალულობას თამაშობის, ცხადია იმ ხრიკებიდან, რომელთა შემწეობითაც მათ სურთ თავი დააღწიონ ცნობის მოყვარეთა კითხვებს მომავალი სახელმწიფო წესწყობილების შესახებ. ჩვენ გვსურს წარმოუდგინოთ მკითხველს ეს ჩვეულებრივი ხრიკები, რომ თითონ მან შესძლოს შეადგინოს წარმოდგენა იმ „მეცნიერობის“ და „მიზნის შეგნების“ შესახებ, რომლებითაც ამ რიგად ტრაბახობენ სოციალისტები

1) „რას ვფიქრობთ ჩვენ მომავალს სახელმწიფოზე, ეს თქვენ არ გეხებათ და არც უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ, რომ უთუოდ გამოვაცხადოთ თქვენთან ჩვენი სულის ყველა საიდუმლოები.“

საუბხოვოა, განა! სოციალისტებს სურთ დაანგრიონ სახლი, რომელშიაც ჩვენ აქამდინ მშვიდობიანად ვცხოვრებდით, უნდათ ახალში გადავეყვანონ და ჩვენ კი უფლება არა გვაქვს ვკითხოთ მათ, როგორ გამოიყურება ეს ახალი

*) წარსული საუკუნის განმავლობაში ასჯერ მაინც მთადინეს კომუნისტური ექსპერიმენტი, მაგრამ ყველამ სრულად ფუქად ჩაიარა. ბევრს ცდათგანს ათს წელიწადზე მეტი ხანი ვერ გაუძლოა. ზოგიერთა კომუნისტურმა ახალშენებმა, რომლებიც სექტანტებმა და არსეს სარწმუნოებრივს საფუძველზე, მიადწიეს შესამჩნევს შედეგს, მაგრამ სერიოზული მნიშვნელობა მაინც არა ჰქონიათ. ცხადია, რომ ამ გვარს საზოგადოებებს, რომლებიც სარწმუნოებრივს ცთამილებზე დაყარებულნი, არ შეეძლოთ ჰქონდათ საზოგადო მნიშვნელება.

სახლი? მაგრამ იქნება სოციალისტებს სურთ ყველა თვისი მოწინააღმდეგენი გადმოყარონ ხომალდიდან მათ აღთქმის ქვეყნის ნავთსადგურზე მიყვანამდე?

2) „განა, გვეუბნებიან ს-დემოკრატები, ცენტრის პარტია და ლიბერალები კი გინატვენ, როგორ აქვთ მათ წარმოდგენილი მომავალი სახელმწიფო, რომ ჩვენგან თხოულობთ ამას?“

მაგრამ შეიძლება სერიოზულად ჰკითხოს კაცმა რამე მომავალის სახელმწიფოს შესახებ იმათ, ვისაც არა აქვს სურვილი ახალი მომავალი სახელმწიფოსი. რომელსაც უზაკველად სურს შეინახოს აწინდელი წესწყობილების არებითი ნაწილები მაინც. ვისაც სურს შეინახოს ძველი სახლი და მხოლოდ გამოცვლილ გარემოებაზე მიხედვით შესცვალოს იგი, მისთვის ხომ საჭირო არ არის ახალი გვეგის შედგენა შენობისთვის. მაგრამ სრულებით ბუნებრივია ამგვარი გვეგის მოთხოვნა იმიჯან, ვისაც სურს დაანგრიოს არსებული სახლი და ააგოს ახალი. მხოლოდ სულელი დაიწყებს სახლის ნგრევას, თუ წინდაწინვე არ იცის შესძლებს თუ არა მის მაგივრად უკეთესის აშენებას. სწორედ ს-დემოკრატს და არა ლიბერალებს და ცენტრს სურთ „სრული მოშორება აწინდელი საზოგადოებრივი წესწყობილებისა“ (ლიბკნეხტი), სურთ „აწინდელი საზოგადოება გახადონ სუფთა ფიკრად“ (ბებელი). და მისდევნ რა ამ მიზანს, ყოველგვარ საშუალებით აცხოველებენ დაბალს კლასში სიძულილს მაღალ კლასთამდე, სცდილობენ დაბლი კლასები მოატყუნონ მომავალი სამართლიანი და სიუხვის სამეფოს სურათით. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ სოციალისტებს ცხადი და გადაწყვეტილი პასუხი მათ განზრახვათა და მიზანთ შესახებ.

3) „რა მოხდება მაშინ როცა ძველი საზოგადოება დამარბული იქნება, ეს თავისთავად გამოჩნდება თავისვე დროზე.“ ამ გვარი პასუხი სწორედ შეურაცყოფაა საზოგადოებისა. მოწყობ-მოწესრიგება საზოგადოებისა, რომელიც მილიონობით შეიცავს წევრებს, არც ისე დვილია, როგორც თაროდან რაიმე საცმელის ჩამოღება და ჩაცმა. არა, საზოგადოების მოწყობ-

ბის გეგმა წინაღვე უნდა იყვეს შემუშავებული და განხორციელდეს თანდათან. ასე იყო საქმე ყოველ დიდ ცვლილებათა დროს—საფრანგეთის რევოლიუციებში 1789, 1830, 1848 წლებში—ყოველთვის ხორციელდებოდნენ ხოლმე ის გეგმები, რომლებიც შემუშავებული იყვნენ ათი წლობით წინ. რევოლიუციამ წინაღვე შედგენილი გეგმები თეორიიდან საქმედ უნდა გადააქციოს. მხოლოდ სულელი არღვევს და არა სწუხს იმაზე, თუ შემდეგ რა იქნება.

4) „მომავლის გეგმის დახატვა არის მეცნიერული, აუსრულებელი ოცნება“. მაგრამ სინამდვილეში ხომ ეს ხშირად ხდება; სოციალისტებში ხომ ხშირად აცთუნებენ ხალხის მასას მომავალი სახელმწიფოს სურათით. აქეთ თუ არა მათ უფლება ამგვარ ფრაზას ამოეფარნენ? სიოცხვილი არ არის, რომ ჰქუხდე არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, აღუძრა მუშებს უგუნური საოცნებო იმედები მომავალი თავისუფალი და უქმი ცხოვრებისა, შემდეგ კი, როცა საჭირო გახდება უფრო ცხადი და დაწვლილებითი ცნობების მიცემა, სიტყვა ბანზე აუვდო: არა მეცნიერულია და აუსრულებელი ოცნებაა მომავლის სურათის მიცემა!.

მომავალ საზოგადოების სურათის მოცემა იქნებოდა არა მეცნიერული მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ წარმოვიდგენდით, რომ მომავალში ხალხი სულ სხვა არსებანი იქნებოდნენ და თავის მოქმედება ყოფაქცევაში სულ სხვა მოტივებით იხელმძღვანელებდნენ ვიდრე ესლა. სოციალისტებს სწორედ ესა სურთ. მაგრამ უეჭველია, ამას არაფერი საფუძველი არა აქვს. კაცი, რავდენადაც უნდა განვითარდეს, მაინც კაცად რჩება და თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს იმავე მოტოვებით, როგორც ესლა.

ჩვენ არა ვთხოვთ სოციალისტებს, რომ მათ მომავალ სახელმწიფოს სურათი დაგვიხატონ დაწვლილებით, მაგრამ ჩვენ ნება გვაქვს მოვთხოვათ და ვთხოვთ გვაჩვენონ თვით საფუძველი მომავალი სახელმწიფოსი: საძირკველი, კედლები, სართულები, რომ შეიძლება იდეს მსჯელობა იმაზე, გვეცხოვრება თუ არა

ამ სახლში. არც ერთი ქუეში მყოფი კაცი არ არჩევს სიბნელეში გადახტომას, სოციალისტები ხშირად ამბობენ: დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენი გეგმა აუსრულებელია. მაგრამ ამას ხომ სიტყვის ბანზე ავდება ჰქვიან. ხომ თვით სოციალისტებს სურთ თვის მომავალი სახელმწიფო წესწყობილების მეოხებით, გააუქმონ აწინდელი წესწყობილებანი და ხალხი ბედნიერებასა და თავისუფლებასთან მიიყვანონ; ამიტომ იგიინივე ვალდებულნი არიან დაგვიმტკიცონ შესაძლებლობა თვისი გეგმის შესრულებისა.

5. აქამდინ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მომავალს სასკამწიფოზე. თვით სიტყვა სახელმწიფო სოციალისტებმა გამოიყენეს, როგორც საშუალება თვისი გეგმის ახსნის მოსაფუჩჩებლად.

„ჩვენ საზოგადოდ არა გვსურს არავფარი სახელმწიფო! წამოიძახა ბებელმა რეისტავში, როდესაც მოწინააღმდეგეებმა მოწინებით მოითხოვეს განმარტება მომავალი სოციალისტურ სახელმწიფოს თაობაზე.

საკოდავი კეკელილობიას თამაშობაა. არა სურთ სახელმწიფო! მაგრამ ხომ სურთ სოციალისტებს ჰქონდეთ მომავალში მოწყობილი ერთად ცხოვრება მრავალთა, ცხოვრება საზოგადოებისა; ხომ ფიქრობენ ისინი, როგორც ენგელსი და ბებელი ამბობენ, შექმნან მმართველობის ორგანიზაცია, რომელიც უნდა განავებდეს წარმოების და გაცვლა გამოცვლის პროცესს, ანუ როგორც ამბობს ერფურტის პროგრამა სოციალდემოკრატიულ პარტიისა — „საქონლის წარმოების გარდაქმნას სოციალისტურად, იმ წარმოებად, რომელსაც ასრულებს საზოგადოება საზოგადოებისთვისვე“, რომ ამასთან ერთად მსხვილი წარმოება „გახდეს უმაღლესი კეთილღობისა და ყოველ მხრივი ჰარმონული განვითარების და გაუმჯობესების საშუალებად.“ ამ საზოგადოებაში ხომ უნდა იყვეს რაიმე კანონები! ხოლო, თუ კანონებია, მაშინ უნდა იყვეს სჯულის მდებელი და აღმოანისტრატული უფლებაც! მაშ რაღა აკლია ამისთანა საზოგადოებას, რომ უფლება ჰქონდეს სახელმწიფოდ წოდებისა? რომ თვით ხალხია სჯულის მდებელიც და მსაჯულაც, ეს სულ

ერთია სახელმწიფოს არსებობისთვის. მაშასადამე, როცა სოციალისტები ამბობენ, რომ მათ მომავალში არა სურთ არა გვარი სახელმწიფო, ეს მხოლოდ სიტყვის ბანზე შეგდებაა. თვით ლიბკნეხტმა ერთდროის საპროგრამო სიტყვაში საკითხს იმაზე, წარმოადგენს თუ არა სოციალისტური საზოგადოება სახელმწიფოს ფორმას, უწოდა „ფუქი კამათი სიტყვების შესახებ“.

სამარლიანი რომ იყოს ის, რასაც ამბობს ლიბკნეხტი, სახელდობრ, ვითომც სახელმწიფო არის ორგანიზაცია გამორჩენის მსურველთაგან შემდგარი მისთვის, რომ მიეცეს კანონიერება გარეგან საწარმოებელ პირობათა და სახელდობრ მისთვის, რომ დაჯანსაღებული ჰყავდეთ ყველა კლასები, რომელთაგანაც გამორჩენას მოელოან, მაშინ მისახვედრი იქნებოდა თუ რათა სურს სოციალიზმს მოსპოს თვით სიტყვა „სახელმწიფო“. ამისთანა წარმოდგენა სახელმწიფოზე სრულიად უსაფუძვლოა და ყალბი. იგი სახელმწიფოს არსებას ხედავს შემთხვევიან ბოროტმოქმედებებში.

სოციალისტები არ იძლევიან პასუხს საკითხზე მომავალი სახელმწიფოს შესახებ, მიტომ რომ არა გვარი სახელმწიფო მათ არა სურთ. მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებიან თავის-სავე ნათქვამს—შეუძლებელია მომავლის წინასწართქვაო. განა ლაპარაკი იმაზე, რომ მომავლი წესი მოწყობილი უნდა იყოს უსახელმწიფოდ, მომავლის სურათის დახატვა არ არის?

იქნება ჩვენ გვითხრან, სახელმწიფო უთუოდ ავტორიტეტს გულისხმობსო, სოციალიზმი კი უარყოფს ყოველგვარს ხელოვნურს ავტორიტეტს. „ჩვენ საზოგადოდ წინააღმდეგნი ვართ ყოველივე ავტორიტეტებისა, რომლებსაც თქვენ თავზე გვახვევთ, ზეცოფური იქნებიან ეს ავტორიტეტები თუ ქვეყნიურნი“*, წამოიძახა ბებელმა რეიხსტაგში*). ყოველი კაცი სცნობს მხოლოდ იმ ავტორიტეტებს, რომლებიც მას მიეჩნია ქეშმარიტად.

თუ ჩვენ მოვისურვებთ ამ სიტყვების ასო-ასოდ გაგებას, კარგი იქნებოდა ამისთვის ჩვენს ენაზე გადმოთარგმნა ანარქისტების უგუნური

*) 1893 წ. 3 თებერვლის სხდომაზე.

მოთხოვნისა: აღარც ღმერთი, აღარც მსწავლებელი. მაგრამ აბა ერთი სცადონ და წარმოიდგინონ საზოგადოება მილიონ კაც-თაგან შემდგარი, რომელშიაც წესიერად ხდება წარმოება და ნაყოფის განაწილება და რომლისთვისაც არ არის საჭირო ავტორიტეტი. ბებელს ალბად სურდა თავიდან მოშორება იმ ავტორიტეტებისა, რომლებიც დაფუძნებულ არიან კლასურ უფლებებზე და განსაკუთრებულ პრივილეგიებზე. არა ნიშნავს ეს იმას, თუ რა სუსტი იმედები ჰქონიათ ს.-დემოკრატებს თავისი საქმისა, როცა იძულებული ხდებიან. მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ, ამ გვარ ორქოფობას მიმართონ?

ნაკარყანელი.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

გამოვიდა და ისეიდება ავტორთან „შიცნაური საქმეების“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ პ. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი 60 კ. ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისეიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული ღენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი 0.60 რუბლი.

